

၉၈၅၅၆

დაჩა მარაინი

მარიანა უკრაინას ხანგრძლივი ცხოვრება

დიდგენეს
ბიბლიოთეკა

დაჩა მარაინი
მარიანა უკრიას ხანგრძლივი ცხოვრება

Dacia Maraini
LA LUNGA VITA DI MARIANA UCRÌA

იტალიურიდან თარგმნა ნუნუ გელაძემ
რედაქტორი: გიორგი ლობჯანიძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი
გარეკანზე: მარი დენიზ ვილერსი, „მარი ჟოზეფინ შარლოტ დიუ ვალ დონიესი“, 1801

Questo libro è stato tradotto grazie ad un contributo alla traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.
წიგნი ითარგმნა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

© 1993-2015 RCS Libri S.p.A. / Milan
© 2016-2017 Rizzoli Libri S.p.A. /BUR, Milan
© 2018 Mondadori Libri S.p.A. / BUR, Milan
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-947-7

www.diogene.ge

თავი I

მამა და ქალიშვილი, აი ისინიც: მამა – ქერა, ლამაზი, მოლიმარი; ქალიშვილი – მოუქნელი, ჭოროფლიანი, გაუბედავი; მამა – წარმოსადეგი, მოუწესრიგებელი, ჩაჩაჩული წინდებით, გარდიგარდმო ჩამოცმული პარიკით, ქალიშვილი – ამარანტისფერ კორსეტში გამოკვართული, რაც მის ცვილისფერ კანს მეტ სიფერმკრთალეს სძენს.

გოგონა სარკეში ადევნებს თვალს მამას, რომელიც იხრება, წვივებზე თეთრ წინდებს ისწორებს. მისი ტუჩები მოძრაობენ, მაგრამ სიტყვების ჟღერადობა გოგონას არ ესმის, ვიდრე მის ყურებადმდე მიაღწევს, იკარგება, თითქოს ეს ხილული მანძილი, რომელიც მათ ყოფს, მხოლოდ ოპტიკური ილუზია იყოს. არადა, ახლოს დგანან, ათასი მილი კი აშორებთ.

გოგონა გაფაციცებით უთვალთვალებს მამის ტუჩებს, რომლებიც ახლა სწრაფად მოძრაობენ. თუმცა არ ესმის, მაგრამ იცის, რასაც ეუბნება: რომ ქალბატონ დედასთან გამოსამშვიდობებლად დროზე მივიდეს; რომ მერე მამასთან ერთად ეზოში ჩავიდეს; რომ ეტლში დროზე ჩაჯდეს, რადგან, როგორც ყოველთვის, იგვიანებენ.

ამასობაში რაფაელე კუფა, რომელიც casena-ში¹ ყოფნისას მელასავით მსუბუქი და ფრთხილი ნაბიჯებით მოძრაობს, ახლა დუკა

¹ „კაზენა“ – თავდაპირველი მნიშვნელობაა „ნიშა“. წინამდებარე რომანში აღნიშნავს XVIII საუკუნის სიცილიელი არისტოკრატის სოფლის რეზიდენციას ან ქალაქ-გარეთ ვილას (ყველა შენიშვნა მთარგმნელისაა).

სინიორეტოს უახლოვდება და ანვდის ტირიფის წნელისაგან მონ-
წულ განიერ კალათას, საიდანაც თეთრი ჯვარი მოჩანს.

დუკა ხელის მსუბუქი მოძრაობით კალათას სახურავს ხდის.
მის სხვა ჩვეულ მანერებს შორის ქალიშვილი კარგად ცნობს ამ
მოძრაობას, როცა გაღიზიანებული მოისვრის ხოლმე ისეთ საგ-
ნებს, რომლებიც თავს აბეზრებენ. იმ მოდუნებულ და მგრძნობი-
არ ხელს საგულდაგულოდ დაუთოებულ ტანსაცმელზე შეივლებს,
ვერცხლის ცივი ჯვრის შეხებაზე გააჟრჟოლებს, კალათაში მონე-
ტებით სავსე ქისას თვალს ჩაჰკრავს და სწრაფად გადის გარეთ.
ნიშანზე რაფაელე კუფა ნაჩქარევად ხურავს კალათას. ახლა ისლა
რჩება, ცხენები პალერმოსაკენ გააჭენონ.

ამასობაში მარიანა მშობლების საწოლი ოთახისაკენ გარბის; იქ
დედა ხვდება, ლოგინზე მისვენებული; ფაფუკი მაქმანებიანი ღამის
პერანგი ცალ მხარზე გადმოსცურებია; ხელის თითებით მომინან-
ქრებული სათუთუნე ჩაუბლუჯავს.

თაფლში ამოვლებული დაქუცმაცებული თამბაქოს სიმყრალე-
ზე, ზამბახის სურნელოვანი აბების, ვარდის ზეთის, ჩამჯდარი ოფ-
ლისა და შემხმარი შარდის ნაირ-ნაირ სუნში რომ არეულა, შეცბუ-
ნებული გოგონა წამით შეეცონდება.

დედა ზანტი მოძრაობით ქალიშვილს გულთბილად იხუტებს. მა-
რიანა ხედავს, როგორ მოძრაობენ ტუჩები, მაგრამ სიტყვების გამო-
საცნობად თავს ძალას არ ატანს. იცის, რასაც ეუბნება: გზა მარტომ
არ გადაჭრას, თორემ ეტლი ისე გაჭყლეტს, სიყრუის გამო მის მოახ-
ლოებასაც ვერ გაიგებს; კიდევ, ძაღლებს მოერიდოს, დიდებსაც და
პატარებსაც. კუდებს, თავადაც კარგად იცის, იგრძელებენ, წელზე
ახვევენ ადამიანებს, როგორც ქიმერებმა იციან, იმ ორკაპა წვერს
ჩაგარჭობენ და ტკაპ, ისე გაგათავებენ, აზრზეც ვერ მოხვალ...

გოგონა ერთი წამით მზერას ქალბატონი დედის მსუქან ნი-
კაპზე, ნატიფხაზებიან ულამაზეს ტუჩებზე, გლუვ და ვარდისფერ
ლოყებზე, გულუბრყვილო, მორჩილ და სადღაც შორეთში მომზი-
რალ თვალებზე აჩერებს: ასეთი არასოდეს გავხდები, არასოდეს, –
ეუბნება თავს, – თუ გინდა, მოვკვდე!

ქალბატონი დედა განაგრძობს საუბარს ქიმერა ძაღლებზე, რომლებიც გველებივით იწელებიან, უღვაშებით გიდიტინებენ, ავი გამოხედვით გაჯადოებენ, მაგრამ გოგონა მას უკვე ნაჩქარევად კოცნის და გარბის.

ბატონი მამა უკვე ეტლში ზის, მაგრამ, ყვირილის ნაცვლად, მღერის, რასაც ქალიშვილი იმის მიხედვით ხვდება, თუ როგორ ებერება ყვრიმალეები და უთამაშებს წარბები. როგორც კი ეტლის საფეხურზე ფეხს შედგამს, გრძნობს, შიგნიდან როგორ წააგლებენ ხელს და სავარძელზე მოადენინებენ ზღართანს. ეტლის კარი შიგნიდან ჯახანით იხურება. და ცხენები პეპინო კანაროტას შოლტზე დაიოთხებიან.

გოგონა რბილ სავარძელზე მიესვენება და თვალებს ხუჭავს. ზოგჯერ ორი ძირითადი შეგრძნება, რომლებსაც ყველაზე მეტად ვენდობით, იმდენად მძაფრი და ფხიზელია, რომ ისინი სასონარკვეთილად ებრძვიან ერთმანეთს. თვალებს პირველობა სურთ, რათა დასრულებულ ფორმებს მთელი სისრულით ფლობდნენ, ხოლო ყნოსვა, თავის მხრივ, ჩემულობს, მთელი სამყარო ხორცის იმ პანანა ნახვრეტში გაატაროს, რითაც ცხვირის წვერი ბოლოვდება.

ახლა მარიანამ ქუთუთოები დახარა, თვალები რომ ცოტა ხნით დაასვენოს და ნესტოებმა ჰაერის შესუნთქვა დაიწყეს, თან ისრუტავენ და მუყაითად ახარისხებენ სუნებს: როგორი თავნებაა რძიანას წყალი, რომლითაც ბატონი მამის ჟილეტია გაჟღენთილი! ქვეშიდან კი იგრძნობა ამოფრქვეული ბრინჯის ოდეკოლონის სურნელი, რომელიც გაპოხილი სკამებიდან ადენილ, გაჭყლეტილი ტილების მყავე სუნში, ფანჯრების ღრიჭოებიდან შემოღწეული გზის მტვრის ლიტინსა და პალაგონიას სახლის მდელოებიდან მოღწეულ პიტნის სურნელებაში ირევა. უცაბედად, სხვა დანარჩენებთან შედარებით, უფრო ძლიერი შეჯანჯღარება იძულებულს ხდის, თვალი გაახილოს. ხედავს მამას, რომელსაც მოპირდაპირე სკამზე სძინავს; სამკუთხა ქუდი მხარზე ჩამოვარდნია; პარიკი ლამაზ, ოფლიან შუბლზე ჩამოფხატვია; ქერა წამწამები კი ახლახან გაპარსულ ლოყებზე ფაქიზად დაჰყვნია.

მარიანა გადასწევს მაჭრისფერ ფარდას, რომელზეც მოოქროვილი არწივებია ამობურცული; ხედავს გზის ამტვერებულ მონაკვეთს და ბატებს, რომლებიც ეტლის ბორბლების წინ ფრთებს შლიან და გარბიან. მისი თავის სიჩუმეში ბაგერიის სოფლური პეიზაჟები წამოიშლებიან: შიშველი და ჟღალისფერტანიანი კორპის დაგრეხილი ხეები; მწვანე პანანინა კვერცხებით დახუნძლულტოტებიანი ზეთისხილის ხეები; მაყვლის ბუჩქები, რომლებიც გზებზე გადმოფენას ლამობენ; ნახნავ-ნათესი მინდვრები, ინდური ლეღვი, ლერწმის ქოჩრები, შორს გადაშლილი ასპრას ქარიანი ბორცვები.

ახლა ეტლი ბუტერას სასახლის ჭიშკრის ორ კოლონას გასცდა და ოლიასტროსა და ვილაბატესაკენ აიღო გეზი. ფარდაზე ჩაჭიდებული პატარა ხელი ქსოვილს მისწებებია და არად დაგიდევს სიმხურვალეს, რომელსაც უხეში შალი გამოსცემს. მის ამგვარ გაშეშებასა და გასუსვაში იგრძნობოდა სურვილი, ბატონი მამა უნებური ხმაურით არ გაეღვიძებინა.

თუმცა რა სულელია! აბა, ორმოებით სავსე გზაზე მოხტუნავე ეტლის ხმაური და პეპინო კანაროტას შეძახილები, ცხენებს რომ აფუცხუნებს?! აბა, მათრახის ტკაცუნი და ძაღლების ყეფა?! მართალია, მისთვის მხოლოდ წარმოსახვითი ხმაურია, მაგრამ მამისათვის ხომ ნამდვილია?! არადა, თვითონ წუხდება, მამა კი – არა. რა ხუმრობებს არ უმზადებს გონიერება დასახიჩრებულ შეგრძნებებს!

აფრიკული ქარის წამობერვაზე, გაშეშებული ლერწმების უცაბედი რხევის დანახვისას, მარიანა ხვდება, რომ ფიკარაცის მიუახლოვდნენ. აი, ბოლოში, მარცხნივ, დიდი ყვითელი ნაგებობა, რომელსაც *a fabbrica du zuccaru*-ს² უწოდებენ. ჩაკეტილი ფანჯრის ღრიჭოებიდან მძიმე, მჟავე სუნი გამოდის. ეს მოჭრილი, დამბალი, ბოჭკოგამოცლილი შაქრის ლერწამია, შარბათად დაყენებული.

დღეს ცხენები ლამის არის ფრენენ. ბატონი მამა, ჯანჯლარის მიუხედავად, ძილს აგრძელებს. მარიანას მოსწონს, რომ იქ

² სიცილიურ დიალექტზე: „შაქრის ფაბრიკა“.

არის, მის ხელებს მინდობილი. დროდადრო წინ იხრება და სამკუთ-
ხა ქუდს უსწორებს; აბეზარ ბუზს არიდებს.

სიჩუმე მკვდარი წყალია გოგონას დასახიჩრებულ სხეულში, ახლახან რომ შვიდი წელი შესრულებია. იმ დამდგარ და გამჭვირვა-
ლე წყალში დაცურავს ეტლი, სარეცხგაფენილი ტერასები; დარბიან
ქათმები; შორს მოჩანს ზღვა; ჩაძინებული ბატონი მამა. ეს ყვე-
ლაფერი თითქოს უმნიშვნელო იყოს, ადვილად რომ ენაცვლებიან
ერთმანეთს, მაგრამ თითოეული მათგანი მეორესთანაა დაკავშირე-
ბული იმ თანმიმდევრობით, რომელიც ფერებს ერთმანეთში ურევს,
ფორმებს შლის.

როდესაც მარიანა ისევ ინყებს მინის მიღმა გარეთ ყურებას,
მოულოდნელად მის წინაშე ზღვა იშლება. წყალი გამჭვირვალეა
და დიდ ნაცრისფერ ლოდებს მსუბუქად ელამუნება. ჰორიზონტის
ხაზს მიღმა მარჯვნიდან მარცხენა მიმართულებით მცურავი აფ-
რებმოშვებული დიდი ნავი მოჩანს.

თუთის ხის ტოტი შუშას ეხეთქება. მენამულისფრად ჩამუქე-
ბული ნაყოფი ეტლის ფანჯარას მთელი ძალით ეჭყლიტება. მარია-
ნა განზე იხრება, მაგრამ გვიან, შეჯახება თავს ფანჯრის ჩარჩოზე
არტყმევინებს. ქალბატონი დედა მართალია: მისი ყურები დარა-
ჯად დასადგომად უვარგისია და ძაღლებს ყოველ წამს შეუძლიათ
სასიკვდილოდ ჩაავლონ კბილები. ამიტომ ცნოსვა ისეთი მძაფრი
გაუხდა და თვალები ისეთი უსწრაფესი, რომ ნებისმიერი საგნის
მყისიერ მოძრაობას ატყობინებენ.

ბატონმა მამამ ერთი წამით თვალი გაახილა და მერე ისევ
ღრმა ძილს მიეცა. რა იქნებოდა, ეკოცნა? ის ახალგაზრდული ლო-
ყები, აჩქარებული სამართებლის კვალი რომ დასტყობოდა, სურ-
ვილს აღუძრავდა, დაეკოცნა. მაგრამ თავი შეიკავა, რადგან იცის,
ზედმეტი ლაქუცი არ უყვარს. ან რატომ უნდა გააღვიძოს, როცა
ასე გემრიელად სძინავს, რატომ უნდა მოაბრუნოს, როგორც თვი-
თონ იცის თქმა, კიდევ ერთი დღის „camurrie“-ში³, ეს ფურცელზეც

³ უსიამოვნებანი (სიც.).

დაუნერა ერთხელ თავისი ლამაზი, მომრგვალებული და გამოყვანილი ასოებით.

ეტლის თანაბარი რხევის მიხედვით, გოგონა ხვდება, რომ პალერმოში ჩამოაღწიეს. ბორბლებმა „balate“-ებზე⁴ დაიწყეს ტრიალი და თითქოს რიტმული გრუხუნიც მოესმა.

ცოტა ხანში პორტა ფელიჩესაკენ⁵ შეუხვევენ, შემდეგ კასარო მორტოს⁶ დაადგებიან და მერე? ბატონმა მამამ არ უთხრა, სად მიჰყავდა, თუმცა იმ კალათის მიხედვით, რაფაელე კუფამ რომ გადასცა, ადვილი მისახვედრია. სატუსალოში?

⁴ სიცილიური გზებისათვის დამახასიათებელი ქვის ფილები.

⁵ ფელიჩეს კარიბჭე – პალერმოს ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი, სახელწოდებას იღებს ესპანელი მეფისნაცვლის ცოლის დონა ფელიჩე ორსინისაგან.

⁶ ყველაზე ძველი ქუჩა პალერმოში, ქრისტემდე VII საუკუნეში გაყვანილი ფინიკი-იელების მიერ მათივე დაარსებულ ქალაქში.

თავი II

სწორედ სატუსალოს ფასადის წინ აღმოჩნდა გოგონა, როცა, მამის მხარზე დაყრდნობილი, ეტლიდან ჩამოხდა. მისმა მიმიკამ ღიმილი მოჰგვარა: ნაუცბათევი გაღვიძება, ყურებზე მიწებებული გაპუდრული პარიკი, სამკუთხა ქუდზე ხელის წაღება და ეტლის კიბიდან ისეთი მოძრაობით ჩამოხტომა, მოხდენილი რომ უნდოდა ყოფილიყო, მაგრამ მოუქნელი გამოუვიდა; ცოტალა დააკლდა, არ წაიქცა და მიწას არ გაერთხა, ისე ჰქონდა ფეხები დაბუჟებული.

სატუსალოს ფანჯრები ყველა ერთნაირია, წამახული ჩახვეული გისოსებით, რომლებიც მუქარის შემცველი წვეტებით მთავრდება. ჭიშკარი ჟანგიანი ჭანჭიკებითაა დაფარული, სახელურს ხახადაღებული მგლის თავის ფორმა აქვს. სწორედაც ციხეა მთელი თავისი საშინელებებით, ისე, რომ ხალხი წინ როცა ჩაუვლის, თავს სხვა მხარეს იბრუნებს, რათა არ შეხედოს.

დუკა დაკაკუნებას აპირებს, მაგრამ ჭიშკარი ფართოდ იღება და იგი ისე შედის, როგორც საკუთარ სახლში. მარიანა უკან მიჰყვება, მცველები და მსახურები თავდაკვრით ესალმებიან. ერთი გაოცებული უღიმის გოგონას; მეორე ილუშება; მესამე მკლავზე ხელს ჰკიდებს და ცდილობს, გააჩეროს. მაგრამ იგი ყველას თავს აღწევს და მამას უკან დაედევნება.

ვინრო და გრძელი დერეფანი: ქალიშვილი გაჭირვებით ცდილობს, არ ჩამორჩეს მამას, რომელიც გვირაბისაკენ გრძელი ნაბი-

ჯებით მიიწევს. მარიანა ხტუნავს თავისი ატლასის ფეხსაცმლით, მაგრამ მამას მაინც ვერ ეწევა. ერთი წამით ეჩვენება, რომ თვალთახედიდან დაკარგა, მაგრამ, აი, ხედავს, კუთხესთან ელოდება.

მამა და შვილი ახლა ერთად აღმოჩნდებიან სამკუთხა ოთახში, რომელიც თაღოვანი ქერის ქვეშ შეკიდებული ერთადერთი ფანჯრით ცუდადაა განათებული. იქ მსახური ბატონ მამას სამკუთხა ქუდისა და სადღესასწაულო „ჯამბერგას“⁷ გახდაში ეხმარება. პარიკს ჩამოართმევს და კედელში გარჭობილ მრგვალ საკიდზე ჩამოაცვამს. მერე თეთრი ტილოს გრძელი ანაფორის ჩაცმაში ეხმარება, კრიალოსანთან, ჯვართან და მონეტების პარკთან ერთად რომ იდო.

ახლა „არისტოკრატთა ოჯახების ორატორიუმის თეთრი ძმების“⁸ წინამძღოლი მზად არის. ამასობაში, გოგონას რომ არც შეუმჩნევია, ისე, სხვა წარჩინებულებიც მოვიდნენ, ისინიც თეთრ ანაფორებში ჩაცმულები – ოთხი მოჩვენება თავზე ჩამოცმული მომჩივარული კაპიუშონებით.

მარიანა მალლა ასცქერის მსახურებს, რომლებიც მარჯვე ხელებით „თეთრი ძმების“ გარშემო ტრიალებენ, თითქოს სცენაზე გასასვლელად ემზადებოდნენ: უსწორებენ ქათქათა და შეულახავი ანაფორების ნაოჭებს, კარგად რომ ეშვებოდეს სანდლებიან ფეხებზე, ხოლო კაპიუშონები კისერზე კოხტად რომ ჰქონდეთ ჩამოცმული, თეთრ ბოლოებს ზემოთკენ უსწორებენ.

ახლა ხუთივე კაცი ერთნაირია, არაფრით განირჩევიან ერთმანეთისაგან, ისევე როგორც თეთრი თეთრისაგან, სიბრალული სიბრალულისაგან; მხოლოდ ხელები, ნაოჭებს შორის გამოყოფილი, და ის პატარა შავი წერტილები, რომლებიც კაპიუშონიდან

⁷ ქულაჯის მაგვარი ესპანური წარმოშობის გრძელი პიჯაკი ბოლოში კუდით; სადღესასწაულო სამოსი ბურბონების ბატონობის დროს ნეაპოლში.

⁸ 1542 წელს პალერმოში დაარსებული არისტოკრატთა ოჯახის „თეთრი ძმების“ ორატორიუმი, რომელსაც სიკვდილმისჯილთა მორალური შემწეობის მისია ეკისრებოდა.

ციმციმებენ, მიგვახვედრებს, რომელი ადამიანი დგას ანაფორის მიღმა.

მოჩვენებათა შორის ყველაზე დაბალი გოგონასაქენ იხრება და ბატონი მამისაქენ იშვერს ხელს. გაბრაზებულია, ეს ჩანს იმიტ, თუ როგორ აბაკუნებს ფეხებს იატაკზე. მეორე „თეთრი ძმა“ ნაბიჯს წინ დგამს, რათა ჩაერთოს, თითქოს უნდათ, რომ ერთმანეთს ყელში სწვდნენ, მაგრამ ბატონი მამა მბრძანებლური ჟესტით ყველას ხმას აკმენდინებს.

მარიანა მამის ანაფორის ცივ და რბილ ქსოვილს გრძნობს, მის შიშველ მაჯაზე რომ ცურდება. მამის მარჯვენა ხელი ქალიშვილის თითებს უჭერს. ცხვირი ეუბნება, რომ რაღაცა საშინელება ხდება, მაგრამ რა? ბატონი მამა მას სხვა გვირაბისაქენ ეწევა და მარიანაც, კუშტი და აგზნებული ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, ისე მიაბიჯებს, არც უკვირდება, ფეხს სად ადგამს. დერეფნის ბოლოს ქვის ციცაბო და სლიპინა კიბეებს წაადგებიან. წარჩინებულთა ხელები ანაფორებს სწვდებიან, იმგვარად, როგორც თავიანთ ფართო ქვედაბოლოებს მაღლა სწვევენ ხოლმე ქალები, ფეხი რომ არაფერს წამოსდონ. კიბის საფეხურები ნესტით გაჟღენთილა და ცუდად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ გუშაგი ანთებული ჩირალდნით ხელში წინ მიუძღვება. აქ ფანჯრები არსადაა, არც მაღალი, არც დაბალი. უცებ ღამე ჩამოწვა და დამწვარი ზეთის, ვირთხის ცურცლისა და ღორის ქონის სუნი იგრძნო. მთავარი მოსამართლე dammuso-ს⁹ გასაღებს გადასცემს დუკა უკრიას, რომელიც წინ წაიწევს და ფიცრებით გამაგრებულ ხის პატარა კარს მიადგება. იქ, ფეხშიშველი ბიჭის დახმარებით, მსხვილ ჯაჭვს ჭანჭიკებს გამოაძრობს და რკინის დიდ ურდულს გასწვებს.

კარი იღება. კვამლიანი ალი იატაკის ერთ ნაწილს ანათებს, ტარაკნები შეშლილებივით გარბიან. გუშაგი ჩირალდანს მაღლა სწევს და სინათლის რამდენიმე ენა ეცემა ორ, ნახევრადშიშველ სხეულს, რომლებიც კოჭებზე დიდ ბორკილებდასხმულნი კედლის

⁹ ქვის ტიპური სიცილიური შენობა არაბული არქიტექტურის შტრიხებით (სიცი.).

გასწვრივ წევრან. მოულოდნელად საიდანაც შემოსული მჭედელი იხრება და ერთ-ერთ ტუსალს ბორკილებიდან ლურსმნებს აძრობს. წირპლიან ბიჭს მჭედლის ზოზინის გამო მოუთმენლობა ეტყობა და ფეხს მაღლა სწევს, ლამის ცერა თითით მჭედლის ცხვირს ეხება, რომ დააჩქაროს და უკბილო, დიდი პირით იცინის.

გოგონა მამის უკან იმალება, ისიც დროდადრო იხრება, ქალიშვილს ეფერება, ოღონდ ნაზად არა, უფრო იმისათვის, რათა შეამოწმოს, უყურებს თუ არა, და არა იმიტომ, რომ გაამხნევოს. როდესაც ტუსალი საბოლოოდ თავისუფლდება და ფეხზე დგება, მარიანა აღმოაჩენს, რომ იგი ლამის პატარა ბიჭია, კანაროტას შვილის ტოლი ან იქნება, ან არა, რამდენიმე თვის წინათ ცამეტი წლისა მაღარიის ცხელებით რომ გარდაიცვალა.

სხვა ტუსალები მდუმარედ შესცქერიან. როგორც კი ბიჭი თავისუფლებული კოჭებით აქეთ-იქით სიარულს მოჰყვამ, დანარჩენებმა, ასეთი დიდი სინათლით კმაყოფილებმა, მიტოვებული თამაში განაახლეს.

თამაში ტილების დახოცვაა: ვინც ყველაზე მეტს და, რაც შეიძლება, სწრაფად ორ ცერათით შორის გაჭყლელტს, ის იმარჯვებს. გასრეილ ტილებს ფრთხილად აწყობენ სპილენძის მონეტაზე. ვინც იმარჯვებს, „გრანოს“¹⁰ მონეტას იმსახურებს.

გოგონა დაძაბული მისჩერებია მოთამაშეებს, მათ პირებს, რომლებიც სიცილზე იღებიან და მისთვის ყრუ სიტყვებს ყვირიან. შიში გაუქრა, ახლა მშვიდად ფიქრობს, რომ ბატონ მამას სურს, ჯოჯოხეთში წაიყვანოს: ამაში რაიმე საიდუმლო მიზეზი იქნება, რაიმე „ლაი ლაი ლაი“, რასაც მერე გაიგებს.

ტალახში ამოგანგლულ პატიმრებთან წაიყვანს, იმათთან, მხრებით ლოდებს რომ ეზიდებიან, მათთან, ვინც ხეებად იქცევიან, ვისაც პირიდან კვამლი გამოსდის, რადგან გავარვარებული ნახშირი ჭამეს, მათთან, ვინც გველებივით ხოხავენ, მათთან, ვინც იმ

¹⁰ სპილენძის წვრილი ფულის ერთეული, რომელიც იჭრებოდა ნეაპოლისა და სიცილიის სამეფოში. ტერმინი გამომდინარეობს სიტყვიდან „მარცვალი“.

ძალეზად გარდაიქმნებიან, კუდებს რომ იმგვარად იგრძელებენ, ბარჯებად გამოიყენონ, გამვლელებს მოსდებენ და გადასანსლავენ, როგორც ქალბატონი დედა ამბობს.

თუმცა ბატონი მამა აქ სწორედ იმისათვის არის, რომ ხიფათისაგან იხსნას. და მერეც, თუ ცოცხალი ადამიანი ჯოჯოხეთს დაათვალიერებს, როგორც ეს ბატონმა დანტემ გააკეთა, სანახავად კარგიც კი უნდა იყოს: ისინი იქ იტანჯებიან და ჩვენ აქედან ვუყურებთ. განა ეს არ არის იმ ქათქათა კაპიუშონჩამოცმულების განზრახვა, კრიალოსანს რომ ხელიდან ხელში გადასცემენ?!

თავი III

გაბრუებული ბიჭი მარიანას აკვირდება და ისიც მტკიცე მზერას უბრუნებს, აქაოდა არ მეშინიაო. ბიჭს თვალები დასივებული აქვს და ეწირვლება; ალბათ კარგად ვერ მხედავს, ფიქრობს გოგონა; ვინ იცის, როგორი ვგონივარ; დიდი და მსუქანა, ისეთი, როგორიც დეიდა მანინას დეფორმირებულ სარკეში ვჩანვარ, თუ პატარა და ხორცნაკლული? იმ წუთას გოგონას შეჭმუხნილი სახის დანახვაზე ბიჭი დაბრეცილ და დაღვრემილ ღიმილად იღვრება. ბატონი მამა კაპიუშონიანი „თეთრი ძმის“ დახმარებით ბიჭს მკლავში ხელს ჰკიდებს და კარისაკენ მიჰყავს. მოთამაშე ტუსალები ისევ ნახევრად ბნელში რჩებიან. ორი ხეშეში ხელი გოგონას აიტაცებს და კიბის პირველ საფეხურზე ფრთხილად აყენებს.

მსვლელობა იწყება: გუშაგი ანთებული ჩირაღდნით, ბატონი დუკა უკრია მხარში ჩავლებული ტუსალით, დანარჩენი „თეთრი ძმები“, მჭედელი და უკან შავ კურტაკში ჩაცმული ორი მსახური. ისევ შედიან სამკუთხა ოთახში, სადაც გუშაგებისა თუ კამერდინერების დიდი მისვლა-მოსვლაა; ხელში ჩირაღდნები უჭირავთ; სკამებს ერთად აწყობენ; თბილი წყლით სავსე ტაშტები, ტილოს ხელსახოცები და ლანგრები მოაქვთ, ზედ ახალი პურითა და დაშაქრული ხილით.

ბატონი მამა ბიჭისაკენ მზრუნველად იხრება. ასეთი ნაზი და ყურადღებიანი მამა არასოდეს ენახა, თავისთვის ამბობს მარიანა. Băcara-დან¹¹ მუჭით წყალი ამოაქვს და ბიჭს ლორწოთი განებილ

¹¹ მცირე ზომის მაშრაფა (სიც.).

სახეზე ასხამს; მერე კამერდინერის მიწოდებული სუფთა პირსახო-
ცით წმენდს; მაშინვე თეთრი და ფუმფულა პურის ნაჭერს თითე-
ბით დასწვდება და მოღიმარი, ტუსალს გაუნვდის იმგვარად, თით-
ქოს შვილებს შორის ყველაზე ძვირფასი ყოფილიყოს.

ბიჭი მიენდობა ამ მოვლას, გასუფთავებას, დაპურებას. ხან
ილიმის, ხან ტირის. ვილაცა ხელში მსხვილმარცვლებიან სადაფის
კრიალოსანს უდებს. იგი თითის წვერებს შეახებს და მერე მიწა-
ზე დაუშვებს. ბატონი მამა უკმაყოფილებას გამოხატავს. მარიანა
კრიალოსნის ასაღებად იხრება და ბიჭს ისევ ხელში უდებს. შეხება-
ზე ნამით კოჟრებიან და გაყინულ თითებს გრძნობს.

ტუსალი კბილებისაგან ნახევრად ცარიელ პირზე ტუჩებს ჭი-
მავს. ჩაწითლებულ თვალებს რძიანას წყალში დამბალი ნაჭრით
ბანენ. „თეთრი ძმების“ შემწყნარებლური მზერის თანხლებით ტუ-
სალი ლანგრისაკენ ხელს იწვდის, გარშემო მორცხვად იხედება და
შაქარში ამოვლებულ თაფლისფერ ქლიავს პირში მიიქანებს.

ხუთი წარჩინებული მამაკაცი მუხლს იდრეკს და კრიალოსანს
მარცვლავს. დაშაქრული ხილით პირგამოტენილ ბიჭს მსუბუქად
უბიძგებენ, რომ მუხლი მოიდრიკოს და იმანაც ილოცოს.

ასე მთვლემარე ლოცვაში ატარებენ ნაშუადღევის ყველა-
ზე ცხელ საათებს. დროდადრო რომელიმე კამერდინერი წყლისა
და ანისულის ჭიქებით გაწყობილი ლანგრით ხელში უახლოვდება.
„თეთრები“ სვამენ და ლოცვას აგრძელებენ. ვილაცა ოფლს ინ-
მენდს, სხვები ჩათვლემენ, მერე შეხტუნებულები, ფხიზლდებიან
და კრიალოსნის მარცვლას აგრძელებენ. ბიჭსაც ჩასთვლემს სამი
გამჭვირვალე გარგარით ყელის ჩატკბარუნების შემდეგ. და ყველას
გული ეთანადლება, რომ გააღვიძოს.

მარიანა მამას აკვირდება, როგორ ლოცულობს. მაგრამ ნეტავ
რომელია ბატონი დუკა სინიორეტო, აი ის კაპიუშონიანი თუ ის
მეორე, თავჩაქინდრული? თითქოს მისი ხმაც კი ესმის, როგორ და-
მარცვლით წარმოთქვამს „გიხაროდენს“.

ყურის ნიჟარა, ახლა რომ დადუმებულია, ძალიან შინაურული
ხმების რაღაც ნაფლეთს ინახავს: ქალბატონი დედის ყრუდ ბუყბუ-

ყა და ჩახლეჩილ, მზარეული ინოჩენცას წიკვინა და ბატონი მამის ტკბილ ხმებს, რომლებიც ხანდახან ეჭედება და უამურად ტყდება.

შესაძლოა ლაპარაკიც ისწავლა. მაგრამ რამდენი წლისა იყო? ოთხისა თუ ხუთის? ჩამორჩენილი ბავშვი, მდუმარე და ფიქრებში ჩაძირული, რომელიც ყველას ყოველთვის სადღაც კუთხეში ავინყდებოდა და მერე უცებ ახსენდებოდათ, მიეჭრებოდნენ და საყვედურობდნენ, რატომ დაიმალა.

ერთ დღესაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე დამუწვდა. სიჩუმე ისე დაეუფლა მას, როგორც რაიმე სნეულება, ან, შესაძლოა, რაიმე შთაგონება. ბატონი მამის მოზეიმე ხმის ველარ გაგონება მისთვის ძალიან სევდისმომგვრელი იყო, მაგრამ მერე შეეჩვია. ახლა რაღაცნაირ მხიარულ გრძნობას აღუძრავდა, ლამის ბოროტ კმაყოფილებას, მის ლაპარაკს რომ შესცქეროდა, თუნდაც სიტყვების გარჩევის გარეშე.

„შენ ყრუ-მუნჯი დაიბადე“, – ერთხელ თავის რვეულში ჩაუნერა ბატონმა მამამ და მარიანაც იძულებული გახდა, თავი დაერწმუნებინა, რომ ის შორეული ხმები თავად მოიგონა. ვერაფრით დაუშვებდა, რომ მისი უტკბესი ბატონი მამა, რომელსაც ასე უყვარს იგი, ტყუილს იტყოდა და თავი მეოცნებე ბავშვად ჩათვალა. წარმოსახვის უნარი არ აკლდა, არც სიტყვის წყურვილი, ამიტომ:

ასო პ და ასო პ

ეს ტარი¹² და შვიდი ქალი

ასო პ და ასო პ

სულ ცოტაა ერთი ტარი,

შვიდი ქალი და გარგარი...¹³

¹² ძველი 20-გრამიანი ვერცხლის სიცილიური მონეტა.

¹³ ეს საბავშვო ლექსი დედანში სიცილიურ დიალექტზეა.

e pi e pi e pi

sette fimmini p'un tari

e pi e pi e pi

un tari troppu pocu

sette fimmini p'un varcuocu...

მაგრამ გოგონას ერთი „თეთრი ძმის“ მოძრაობამ ფიქრები შეანყევტინა, რიგიდან რომ გამოვიდა და მერე მობრუნდა ხელში დიდტანიანი ნიგნით, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა „ცოდვა-თა განტევება“. ბატონი მამა თავაზიანი ბიძგით ბიჭს ალვიძებს და ორივენი დარბაზის ერთ კუთხეში განმარტოვდებიან, სადაც კედელში ნიშაა და მასში შეჭედილი ქვის ფილა სკამად გამოიყენება.

იქ დუკა უკრია დი ფონტანასალსა მისჯილის ყურთან იხრება და აღსარებისაკენ მოუწოდებს. ბიჭი თავისი უმწიფარი და უკბილო პირით რამდენიმე სიტყვას ამოლერლავს. ბატონი მამა დაყვავებით აძალებს. ბიჭი, ბოლოს და ბოლოს, იღიმება. ახლა მამა-შვილს ჰგვანან, ოჯახურ საქმეებზე ერთმანეთთან გულთბილად მობაასეს.

მარიანა მათ, ცოტა არ იყოს, შიშით აკვირდება: რა ჰგონია, რას აკეთებს მამასთან მოკალათებული ის ყვინჩილა, ვითომ დიდი ხანია იცნობდეს; ვითომ თავის თითებში მისი მცმუკავი თითები სჭეროდეს; თითქოს მის გარემოს იცნობდეს; გეგონება, დაბადებიდანვე ცხვირის ნესტოებში მის სურნელს ატარებდეს, ან ათასჯერ შემოეჭდოს მისთვის წელზე ორი ძლიერი მკლავი ეტლიდან, ტახტრეწნიდან, კიბეებიდან ჩამოსახტომად, აკვნიდან ამოსაყვანად, ისეთი გზნებით, რომელიც მარტო ხორციელ მამას შეუძლია იგრძნოს მხოლოდ და მხოლოდ შვილის მიმართ. რა ჰგონია, რას აკეთებს?!

ყელიდან მისი მოკვლის დამანგრეველი სურვილი ამოსდის, სასაში ეჭედება, ენას უწვავს. უნდა, რომ თავში ლანგარი ჩასცხოს, მკერდში დანა გაუყაროს, თავზე თმა დააგლიჯოს. ბატონი მამა ამ ბიჭს კი არა, მას ეკუთვნის, ამ სვედამწვარ მუნჯს, რომელსაც ერთადერთი სიკეთე, რაც გააჩნია, ბატონი მამაა.

ამ მკვლელობის ფიქრებს ჰაერის მკვეთრი ცვალებადობა აწყვეტინებს. კარი ფართოდ იღება და ზღურბლზე საზამთროს მუცლიანი კაცი გამოჩნდება. მასხარასავით აცვია, სანახევროდ წითელი და სანახევროდ ყვითელი სამოსი: ახალგაზრდას და ჩასკვნილს მოკლე ფეხები აქვს, მძლავრი მხრები, მოჭიდავის მკლავები, პატარა და დაბრეცილი თვალები. გოგრის თესლს აკნატუნებს და ჰაერში ხალისიანად აფურთხებს.

როცა ბიჭი მას დაინახავს, ფითრდება. ღიმილი, რომელიც ბატონმა მამამ გამოგლიჯა, სახეზე უმალ შეაცივდა; ტუჩები აუკანკალდა; თვალები დაენმინდა. მასხარა მას უახლოვდება და გოგრის თესლს ისევ ჰაერში აფურთხებს. როდესაც ბიჭს სველი ჭინჭივით მინაზე ჩაცურებულს ხედავს, ორ კამერდინერს ანიშნებს, ისინიც ილიებში ხელებს ამოსდებენ და გასასვლელისაკენ გაათრევენ.

ჰაერი ავი რხევით იძვრის, სწორედ ისე, როგორც ვერასოდეს დანახული გიგანტური ფრინველის ფრთების ტყლაშუნმა იცის. მარიანა გარშემო იხედება. „თეთრი ძმები“ შემოსასვლელი კარისაკენ საზეიმო ნაბიჯებით მიემართებიან. ჭიშკარი მოწყვეტით იხსნება და უხილავი ფრთების ის ფათქუნი ისე ახლოს და ძლიერად გაისმის, რომ გოგონას აბრუებს. მეფისნაცვლის მოსვლის მაუწყებელი დაფდაფების ხმაზე ბრბო ყვირილს მოჰყვება, ხელებს ცისაკენ აღმართავს და ხარობს.

ზღვის მოედანი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ცარიელი იყო, ახლა გაჭედილია. ერთმანეთში აზელილა: ტალღებად მონანავე თავების ზღვა; პირები, რომლებიც იღებიან; ალმები, რომლებიც მალა ინევიან; ცხენები, რომლებიც ფლოქვებს აჭახუნებენ და უამრავი სხეულის ჯოჯოხეთური ქაოსი, რომელსაც მართკუთხა მოედანი დაუპყრია.